აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, **კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატის დაზუსტებისა და გაგრძელების შესახებ** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების საბჭოს **1995 წლის 26 მაისის** გადაწყვეტილების დანართი

**აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატი**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურების საბჭოს მშვიდობის მხარდაჭერი კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაცია აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, კონფლიქტის ზონაში.

შესრულდა მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების წინაშე მდგარი ამოცანები კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებული ძალების დაშორიშორების, ხმელეთზე, ზღვასა და საჰაერო სივრცეში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

კონფლიქტის ზონაში განლაგებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო კონტინგენტი, აგრეთვე საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელი მისიის სამხედრო დამკვირვებლები.

1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმების შესაბამისად, შეიქმნა უსაფრთხოების ზონა, შეიარაღების შეზღუდვის ზონა და კონტროლის ზონა, რომლებშიც დათქმული და დაფიქსირებულია შეიარაღებისა და პირადი შემადგენლობის გარკვეული დონეები.

მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალები შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს, რომლებიც ხელს შეუწობენ აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით, იმ ნაწილში, რომ შეიქმნას ლტოლვილთა ადრინდელ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ხელშემწყობი პირობები; გაგრძელდება აგრეთვე დახმარება განაღმვის სამუშაოთა შესრულებაში.

1. აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების მანდატის დაზუსტებისა და გაგრძელების შესახებ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად 1995 წლის 26 მაისიდან ოპერაციის ვადა გრძელდება 1995 წლის 31 დეკემბრამდე.

მანდატის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში ძალები და თანხები გამოიყოფა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატის დამტკიცების შესახებ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1994 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების რეალიზაციის მიხედვით.

3. ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისს მიღებული შეთანხმების შესაბამისად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გასაკონტროლებლად იქმნება სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი.

4. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფში სამხედრო კონტინგენტის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან კონფლიქტის ზონაში მათ ჩასვლამდე კონფლიქტის ზონაში გასაგზავნი პერსონალის მომზადება, მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ფინანსური ხარჯების, მათ შორის, ოპერაციის რაიონში მათი გადაყვანის ხარჯების დაფინანსება განხორციელდება იმ სახელმწიფოთა ხარჯზე, რომელთაც ეს კონტინგენტი და დამკვირვებლები გააგზავნეს.

5. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფს ეკისრებათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, სამშვიდობო საქმიანობის შესახებ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მიღებული დოკუმენტებით, 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებით

ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმებით გათვალისწინებული ამოცანები, კერძოდ:

ა) ცეცხლის შეწყვეტის მკაცრად დაცვის უზრუნველყოფა, მშვიდობის დამყარება და საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილება კონფლიქტის ზონაში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორების გზით;

ბ) პირობების შექმნა ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში იმ ადამიანთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისა, რომელბმაც კონფლიქტის ზონა დატოვეს, აგრეთვე ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების სხვა დებულებების შესრულების პირობები, მათ შორის ოთხმხრივი კომისიის საქმიანობისათვის, რომელიც იქმნება აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად;

გ) თვალყურის დევნება იმისა, როგორ ასრულებენ მხარეები მათ შორის მიღწეულ შეთანხმებებს, კერძოდ, 1993 წლის 1 დეკემბრის გაგების მემორანდუმს, 1994 წლის 13 იანვრის კომუნიკეს მოლაპარაკებების მეორე რაუნდის შესახებ, 1994 წლის 4 აპრილის განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ და 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, აგრეთვე სხვა შესაძლო შეთანხმებებს, რომლებსაც მხარეები დადებენ ვითარების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში;

დ) ხელის შეწყობა კონფლიქტებით დაზარალებული რაიონების აღდგენის, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის, განაღმვის, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფის ძირითად სისტემათა აღდგენისათვის;

ე) მოსახლეობის ისეთი საარსებო მნიშვნელობის საკვანძო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორიცაა ენგურჰესი და სხვები;

ვ) ხელის შეწყობა საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნორმათა დაცვის უზრუნველყოფისათვის;

ზ) მჭიდრო თანამშრომლობა გაეროს დამკვირვებელთა მისიის პერსონალთან და რეგიონში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა პერსონალთან;

თ) კონტროლის განხორციელება აფხაზეთის ფარგლებს გარედან მოსული პირებისაგან შედგენილი ყველა მოხალისე შეიარაღებული ფორმირების დაშლისა და გაყვანისადმი;

ი) მძიმე საბრძოლო ტექნიკისადმი კონტროლის განხორციელება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიასთან ურთიერთქმედებით.

მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფს ამ ძალების სარდლის გადაწყვეტილებით კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შეუძლიათ გადაწყვიტონ სხვა ამოცანებიც კონფლიქტის ზონაში ოპერაციის განხორციელების დროს, ამასთან იხელმძღვანელონ დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების მისწრაფებით.

6. კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდალი (შემდეგ-სარდალი) ექვემდებარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს. საკითხებზე, რომლებსაც ოპერატიული გადაწყვეტა სჭირდებათ, იგი კონსულტაციებს მართავს თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარესთან და თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების საბჭოს თავმჯდომარესთან, უშუალოდ ხელმძღვანელობს მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის განხორციელებას და არის მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების მთელი პირადი შემადგენლობის უშუალო უფროსი.

7. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში გამოყოფილი წევრი-სახელმწიფოების სამხედრო კონტიგენტი და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი გადადის სარდლის დაქვემდებარებაში ოპერაციის რაიონში მათი ჩამოსვლისა და ამ კონტიგენტის მეთაურების მიერ ჩამოსვლის შესახებ მოხსენების მომენტიდან.

8. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის სამართავად სარდალთან იქმნება გაერთიანებული შტაბი დაცვის, კავშირგაბმულობის, უზრუნველყოფისა და მომსახურების ქვედანაყოფებებით, რომელთაც ოპერაციაში მონაწილე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები გამოყოფენ.

გაერთიანებული შტაბისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფების სტრუქტურას განსაზღვრავს სარდალი. მას უფლება აქვს შეიტანოს აუცილებელი ცვლილებები შტაბის სტრუქტურაში გამოყოფილი რიცხოვნების ფარგლებში.

9. მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ფუნქციაში შედის:

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების შესახებ თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილების რეალიზაცია;

სახელმწიფოთა მეთაურებს, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს წარუდგინოს მოხსენება კოლექტიური სამშვიდობო ძალების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და იმის თაობაზე, როგორ ასრულებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეთანხმებებს იმ ნაწილში, რაც მშვიდობის მხარდამჭერ კოლექტიურ ოპერაციას ეხება.

კოლექტიური მშვიდობის მხარდამჭერი ძალების და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის მომზადებისა და ჩატარების დროს;

დაქვემდებარებული ნაწილებისა, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ქვეგანყოფილებების და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის მომზადების ორგანიზება და ხემძღვანელობა;

მიმღები სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან, კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან, ოპერაციის მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის სამინისტროებთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან, ეუთოს წარმომადგენლებთან და კონფლიქტის ზონაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების ორგანიზაცია და შენარჩუნება;

მოლაპარაკებების წარმოება კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებთან;

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შორის ოფიციალური შეხვედრების კავშირითა და მონაწილეთა უსაფრთხოებით უზრუნველყოფა;

მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების და სამხედრო დამკვირვებელთა უზრუნველსაყოფად გამოყოფილი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამგებლობა;

10. კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის ჩატარების მთელი ვადის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში კონტიგენტის გამგზავნი სახელმწიფოები პირად შემადგენლობას უზრუნველყოფენ ამ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით, გასამრჯელოს ფულადი დანამატითა და შემწეობებით.

11. კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში გამოყოფილი სამხედრო კონტიგენტი და სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი პატივს სცემს და დაიცავს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთვალყურეთა ჯგუფებისა და მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების შესახებ" 1994 წლის 20 მარტის შეთანხმების დებულებებს; "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფებისა და მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების სტატუსის შესახებ" 1992 წლის 15 მაისის ოქმის დებულებებს; "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფისა და მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების დაკომპლექტების, სტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუველყოფის შესახებ" ოქმისა და "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის და წევრი-ქვეყნების კონფლიქტის ზონებში სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფებისა და მშვიდობის მხარდაჭერის კოლექტიური ძალების შეთანხმებული მოქმედების დროებითი წესის შესახებ" ოქმის დებულებებს, ასევე პატივს სცემენ და დაიცავენ 1949 წლის ჟენევის კონვენციას "ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ", 1977 წლის 8 ივნისის

მის დამატებით ოქმებს და 1954 წლის 14 მაისის კონვენციას “შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ”.
(Сборник документовб касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999 გვ. 53-57/ საკუთარი თარგმანი)